1.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი: ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება - (30 03)

პროგრამის განმახორციელებელი: შსს სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი

ათას ლარებში

პროგრამის კოდი	დასახელება	წლიური დამტკიცებული მოცულობა	წლიური დაზუსტებული მოცულობა	საანგარიშო პერიოდის საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიური დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
30 03	ფიზიკურ და იურიდიულ პირთა (მათი ქონების), ეროვნული საგანძურის დაცვისა და უსაფრთხოების დონის ამაღლება	14 380.0	14 380.0	5 367.9	37.3%	98 575.5

საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

- მიმდინარეობდა ეროვნული საგანძურისა და სხვადასხვა ობიექტების დაცვითი მომსახურებით უზრუნველყოფა, განსაკუთრებული მნიშვნელობის, არაგაბარიტული, სახიფათო მოძრავი ტვირთების დაცვა-გაცილება, ფულადი სახსრებისა და სხვა ფასეულობათა გადაზიდვა (ინკასაცია);
- ობიექტებზე შექმნილი სიტუაციებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევებში ხდებოდა ოპერატიული რეაგირების ჯგუფების გასვლა (საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 80 756 გასვლა);
- საანგარიშო პერიოდში დაიწყო და მიმდინარეობდა საავიაციო უშიშროების სამმართველოს ადმინისტრაციული შენობის ტერიტორიის მოწყობის სამუშაოები. გარემონტდა სხვადასხვა დასაცავი ობიექტების დასაცავად საჭირო 53 ცალი და შეძენილი იქნა 5 ცალი ახალი დაცვის საგუშაგო ჯიხური. დასრულდა სამცხე-ჯავახეთის რდპ მთავარი სამმართველოს ბორჯომის დაცვის პოლიციის განყოფილების შენობის რემონტი;
- 2025 წელს გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებულია 15 ერთეული ოპერატიული დანიშნულების მსუბუქი ავტომანქანის ღირებულება.
- დაცვის ტექნიკური საშუალებებით დასაცავი ობიექტების პერიმეტრული დაცვისათვის შეძენილ იქნა 600 ცალი საკონტროლო პანელი.
- საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამისა და ცენტრალური დაკვირვების პულტის სისტემების გამართული მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით შეძენილ იქნა 3 ცალი სერვერი;
- ოპერატიული დანიშნულების ავტომანქანებისათვის შეძენილი იქნა 30 ერთეული საავტომობილო ციმციმა (ხმამაღლა მოლაპარაკით).